საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ინფორმაცია მშენებლობაზე გაცემული ნებართვებისა და ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტების შესახებ

2020

იანვარი - მარტი

30.04.2020

www.geostat.ge

30.04.2020

ინფორმაცია მშენებლობაზე გაცემული ნებართვებისა და ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტების შესახებ

(2020 წლის იანვარი-მარტი)

ოფიციალური დეკლარირებული მონაცემებით, საქართველოში 2020 წლის იანვარ-მარტში გაცემულია 2285 ნებართვა (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 11,4 პროცენტით მეტი) 1537,8 ათასი კვ.მ ფართობის შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 11,6 პროცენტით მეტი). ნებართვების 78,3 პროცენტი მოდის ქვეყნის 4 რეგიონზე. კერძოდ, ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების 54,9 პროცენტი ქ. თბილისზე, 10,0 პროცენტი - ქვემო ქართლის რეგიონზე, 6,7 პროცენტი - აჭარის ა.რ.-ის და იმერეთის რეგიონზე.

მშენებლობაზე გაცემული ნებართვები რეგიონების მიხედვით, 2020 წლის იანვარი - მარტი



აღსანიშნავია, რომ 2020 წლის იანვარ-მარტში ნებართვები გაიცა მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსების, სასტუმროების, სავაჭრო ობიექტების, სამრეწველო საწარმოების, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტებისა და სხვა შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე. გაცემულ ნებართვებში შედარებით დიდი წილით წარმოდგენილია მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსები. დამთავრებული მშენებლობების ნახევარზე მეტი მოდის ქვეყნის 4 რეგიონზე. კერძოდ, 29,5 პროცენტი ქ. თბილისზე, 12,6 პროცენტი - კახეთის რეგიონზე, 12,2 პროცენტი - იმერეთის რეგიონზე, ხოლო 11,8 პროცენტი - ქვემო ქართლის რეგიონზე.

ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტები რეგიონების მიხედვით, 2020 წლის იანვარი - მარტი



სულ, 2020 წლის იანვარ-მარტში ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა 419,7 ათასი კვ.მ ფართობის (წინა წელთან შედარებით 32,8 პროცენტით ნაკლები) 484 ობიექტი (წინა წელთან შედარებით 21,8 პროცენტით ნაკლები).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

დავით კუპატაძე, ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: dkupatadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge